ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 29 ივნისის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის

მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 29 ივნისის სხდომის

ო ქ მ ი № 14

დ. ხარაგაული

29 ივნისი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის““ თავმჯდომარე(დისტანციურად),

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მწვანეები“ - ს“ თავმჯდომარე,

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

ზურაბ ხაჩიძე,

მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ. გოგოლაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის“ დირექტორი,

ე. შავიძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის

საკითხებში,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, მან შეკითხვით მიმართა მომხსენებელს და მოითხოვა განმარტება საბიუჯეტო ცვლილების ნაწილში 45628 ლარზე, 15 000 ლარზე და სარეზერვო ფონდის ცვლილებებზე.

ნ. მაღლაკელიძემ , მომხსენებელმა, განმარტა, რომ 45 628 ლარი არის თანხა, რომელიც მიღებულია

ტენდერების ეკონომიიდან, 15 000 ლარი ეს თანხა მთლიანად მიმართულია პანდემიის პრევენციულ

ღონისძიებებში,

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ იცნობს საბიუჯეტო ცვლილებების მასალებს და საკითხს განიხილავს კომისიის სხდომაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრების მიერ დაისვა საკითხი მავთულბადესთან დაკავშირებით, რომ მისი გამოყენება მოხდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და არ გაიყიდოს.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ მავთულ ბადეები საჭიროა სკოლებისათვის, ბაღებისათვის, ეზოების შემოსაღობად იქნებ გვეფიქრა ამაზე და არ შეგვეტანა საპრივატიზაციოდ.

ი. მაღრაძემ აღნიშნა რომ მერი დაგვპირდა მარელისის მზაობის ჯგუფის ტერიტორიის შემოღობვას და ვეთანხმები კოლეგებს თავი შევიკავოთ მავთულბადის გაყიდვისაგან. აგრეთვე მაინტერესებს, როგორ ხდება აუდიტის მიერ ქონების შეფასება, ერთი და იგივე აუდიტთან, რომ გაქვთ ხელშეკრულება გაფორმებული ეს გარკვეული ეჭვების საფუძველს მაძლევს მე პირადად . ხომ შეიძლება ეს მომსახურება ტენდერით შევისყიდოთ?

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ ამ აუდიტთან დიდი ხანია ვთანამშრომლობთ, კარგი პიროვნებები არიან და 4500 ლარად გვისრულებენ სამუშაოს, ამ ფასად არცერთი აუდიტი არ მოგვემსახურება, მოთხოვნისთანავე მოდიან და ასრულებენ სამუშაოს, რაც შეეხება მავთულბადეს ისინი იმდენადაა დაზიანებული რომ გამოსაყენებლად არ გამოდგება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისიის წევრთა მიერ საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმაში შეტანილ მავთულბადესთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მისი გამოყენება მოხდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის და არ მოხდეს მისი გაყიდვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ

საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ გამართულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

შენიშვნა: ბიუროს სხდომაზე მიუროს წევრთა გადაწყვეტილებით 06 ივლისის დღის წესრიგიდან მოიხსნა საკითხი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის

სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს:დავით კიკნაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთაპროფესიულ საჯარო მოხელეტა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირტა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის სესახებ“, ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე